საპატრიარქოს ბიბლიოთეკა

ზიარების საიდუმლოს შესახებ

შეადგინა მღვდელმა
ლევან მექოშვილმა

ჯვართამაღლების
სახელობის ტაძარი
თბილისი
2007

მართლმადიდებლური ღვთისმსახურება მორწმუნეთათვის ხშირად გაუგებარია, ამიტომ გადავწყვიტეთ მისი ისტორიული და საღვთისმეტყველო საკითხების წარმოჩინება.

ძე ღმრთის განხორციელება უდიდესი საიდუმლოებაა, რომელიც საუკუნითგან ანგელოზებისთვისაც კი დაფარული იყო. ეს საიდუმლოება განახლდება და განცხადდება საღმრთო ლიტურგიაზე, წირვაზე, ევქარისტიის მსახურებაზე. ევქარისტია პირველი ქრისტიანების ცხოვრების მთავარი ნაწილი იყო, ჩვენში კი ევქარისტული ცხოვრება ისე მინელდა, თითქმის მთლიანად დავივიწყეთ მისი არსი და საღმრთო ლიტურგიას მხოლოდ ერთ-ერთ რიტუალად მივიჩნევთ. სამადლობელ პარაკლისებს და „დაუჯდომლებს“ მრევლი უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე წირვაში მონაწილეობას. უწინ, ევქარისტია რელიგიური ცხოვრების არსი იყო. საეკლესიო ცხოვრების ყველა მონაკვეთი თავს იყრიდა ლიტურგიის გარშემო და ერწყმოდა მას. მაგალითად: ნათლობა განსაკუთრებული დღეების აღდგომის, შობის, ნათლისღების ლიტურგიის დროს აღესრულებოდა. ქორწინებაც და ზეთის ცხებაც ლიტურგიაში იყო ჩართული: ჯვრისწერა ევქარისტიულ კანონამდე აღესრულებოდა და ამის შემდეგ წყვილები ეზიარებოდნენ უფლის სისხლს და ხორცს. ზეთის კურთხევა კვეთის დროს აღესრულებოდა, ხოლო ცხება ამბიონის ლოცვის დამთავრებისთანავე. მღვდლობა განუყოფელია წირვისაგან და აგრეთვე ის საიდუმლოებები, რომლებსაც სქოლასტიკური მეცნიერება საიდუმლოს არ უწოდებს, მაგრამ ჩვენი წმ. მამების აღიარებით ისინი საიდუმლოებებია: ტაძრის კურთხევა, დიდი აიაზმა, მონაზვნად კურთხევა და სხვა ან ჩართულნი არიან წირვაში ან მის დროს აღესრულება. ხოლო სულიერების დაკარგვისა და მიწიერებისაკენ ლტოლვის შედეგად ეს კავშირი დაირღვა და მორწმუნეთა აზროვნებაში საიდუმლოებები ან მოვალეობის შესასრულებლად, ან წეს-ჩვეულებად გადაიქცა, ხოლო ევქარისტიამ დაკარგა „არსობის პურის“ მნიშვნელობა.

წმ. დიონისე არეოპაგელი ევქარისტიას „საიდუმლოებათა საიდუმლოებას“ უწოდებს. წმ. მაქსიმე აღმსარებელი ამბობს: „ვერც ერთი საიდუმლოება სრულყოფილი ვერ იქნება ზიარების გარეშე“. წმ. გრიგოლი პალამა წერს: „ჩვენ გვიყვარს საეკლესიო გადმოცემა, დაწერილი და დაუწერელი, უპირველესად კი ყოვლადწმიდა საიდუმლო მღვდელმოქმედება – ზიარება, რომელშიც აღესრულება სხვა მღვდელმოქმედებანი“.

ეკლესიის ბუნება ევქარისტიულია. ეკლესია უფლის სხეულია. ევქარისტიაც უფლის სხეულია. ამიტომ ზიარების გარეშე არ არსებობს ეკლესიურობა. ასევე ევქარისტიაც წარმოუდგენელია ეკლესიის გარეშე. ეკლესიის გარეშე მხოლოდ წარმოვიდგენთ სიონის მთაზე აღსრულებულ საიდუმლო სერობას, მოვახდენთ მის სიმბოლიზირებას, მაგრამ შეუძლებელია ეკლესიის გარეშე წარმოვიდგინოთ ევქარისტული მსხვერპლშეწირვა, რადგან ის უმაღლო ქმედებაა. ევქარისტია (და სხვა საიდუმლოებებიც) ვერ აღესრულება სული წმიდის განმაცხოველებელი ძალის გარეშე.

ეკლესიის მცნების გაგება მხოლოდ კატეხიზმოს კლასიკური განსაზღვრებით შეუძლებელია: („ეკლესია მორწმუნეთა კრებულია, რომელსაც ერთი რწმენა აერთიანებს...). ეკლესია მხოლოდ კანონიკურ-ადმინისტრაციული ჩარჩოებით არ განისაზღვრება. მრევლში ყოფნა და შესაკრებელში მონაწილეობის მიღება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ეკლესიურობას. არ შეიძლება მხოლოდ ეკუთვნოდე ეკლესიას ან ირიცხებოდე მის მრევლში, მასში (ან მისით) უნდა იცხოვრო. რეალურად უნდა მიიღო მის ცხოვრებაში მონაწილეობა, ანუ უფლის <u>მისტიკურ სხეულთან ერთობაშია ეკლესიურობა</u> და ამ სხეულის ცოცხალი ნაწილი უნდა იყო. ამ სხეულის თანაზიარი უნდა იყო. წმინდა ბარძიმთან ჩვენი მწუხარებანი და სიხარულნი მიიტანება, ისინი წმინდა ნაწილებით უნდა გაზავდეს. ევქარისტია უნდა მოიცავდეს და განანათლებდეს ქრისტიანის მთელ ცხოვრებას, მის შემოქმედებას, მის საქმეებს. ამიტომ ევქარისტიული ცხოვრება არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ცოცხალთა და მიცვალებულთა მოხსენიებით, ეკლესიაში დგომით ან ღვთისმსახურებაზე დასწრებით. ევქარისტიული ცხოვრება არც გალობის და საკითხავების მოსმენაა. მორწმუნე არა მარტო უნდა იმყოფებოდეს წირვაზე, არამედ <u>განიცადოს</u> აღსრულებული მსახურება და მერე <u>ეზიაროს</u>. ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის საღმრთო მსახურება მართლმადიდებლობის ფილოსოფიაა და არა მხოლოდ წეს-ჩვეულებების კრებული და როგორც წმ. ირინეოს ლიონელი ამბობს: „ჩვენი სწავლება ევქარისტიასთან თანხმობაშია და ევქარისტია თავის მხრივ ამოწმებს ამ სწავლებას“.

ძველ აღთქმაში წმ. ზიარების წინასახე ზეციური მანანა იყო, იგი მარადიული პურის სიმბოლოს წარმოადგენდა ე.ი. არ იყო სრულყოფილი. მანანა ზეციდან მოვლენილი სასწაულებრივი საკვები იყო, ევქარისტია კი უფლის ჭეშმარიტი სხეულია, მანანა მხოლოდ გარკვეულ

დროში ეძლეოდა ებრაელ ხალხს, ევქარისტია კი დადგენილია განუსაზღვრელი დროით, მანანა ადამიანის მხოლოდ სხეულს კვებავდა, ევქარისტია კი მთელ ადამიანის არსებას გამსჭვალავს როგორც ფსალმუნშია, ძარღვებს, მყესებს, მუცელსა და გულს. ის ადამიანს უკვდავებას ანიჭებს, რაც მანანას არ შეეძლო.

წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: „ძვ. აღთქმაში ადამიანებს დღეგრძელობა აღუთქვა ღმერთმა, ახლა კი ის დაუსრულებელი ცხოვრებაა“. ევქარისტია ჩვენს მიცვალებულებთან დამაკავშირებელიცაა. ვეზიარებით რა უფლის სისხლს და ხორცს, მიცვალებულებთან მჭიდრო კავშირში შევდივართ, რადგანაც ისინი უკვე მარადიულობაში (ღმერთთან) იმყოფებიან. იგივე წმ. მამა სხვაგან გვეუბნება: „მორწმუნეებმა მხოლოდ სიყვარული კი არ უნდა გამოვხატოთ უფლის სხეულის მიმართ, არამედ უნდა ვეზიაროთ კიდეც. ამას იმ საკვებით შევძლებთ, რომელიც მან დიდი სიყვარულის ნიშნად გაიღო ჩვენთვის. მივიღოთ, ვიხმიოთ და ვეზიაროთ სიხარულს“.

იუდეველები კითხულობდნენ: „როგორ შეუძლია თავისი ხორცი მოგვცეს საჭმელად?“ (იოანე 6, 52). და სწორედ ეს ხორცი, ღმერთთან ერთობა იყო რაციონალურად მოაზროვნე ებრაელთათვის დამაბრკოლებელი. უფლის სიტყვებმა ერთგული მოწაფეებიც დააბრკოლა და ზოგიერთი, ამის გამო, ჩამოშორდა კიდეც მას. ამგვარი გააზრება არც ჩვენი დროისთვისაა უცხო. უფლის სასწაულებს ხედავდნენ იუდეველები და აღფრთოვანებაში მოდიოდნენ, მის ზნეობრივ სწავლებას ღებულობდნენ და მხოლოდ ამით (ქადაგებით) იკმაყოფილებდნენ რელიგიურ მოთხოვნილებებს, ხოლო დოგმატურ სწავლებას, ძე კაცის მარადიულობის, (იოანე 8 - 58) მისი მამა ღმერთთან ერთარსობის (იოან. 5 18, 10 30-31) შესახებ, ღვთის გმობად მიიჩნევდნენ. ჩვენი დროის ადამიანის გონებაც, რაციონალური და სკეპტიციზმის სულითაა შეპყრობილი. უმრავლესობა საიდუმლო სერობაში მხოლოდ შემაძრწუნებელ, გრძნობისმიერ, უფლის მოწაფეებთან განშორების სცენას ხედავს, ხოლო ლიტურგიაში ამ სერობის მხოლოდ სიმბოლურ გადმოცემას. ჩვენს დროშიც ხომ ბევრნი იუდეველების მსგავსად შორდებიან ქრისტეს და ეკლესიას. ასეთი ადამიანები სახარებას ღებულობენ როგორც ზნეობრივი ქადაგებების კრებულს და რენანის და ლევ ტოლსტოის მსგავსად ქრისტეს სრულყოფილ მორალის მქადაგებლად მიიჩნევენ. რაციონალურად მოაზროვნე რელიგიური ადამიანისათვის უფლის სისხლის და ხორცის მიღება უაზრობა და მი-

ულებელია. ეს სწავლება ამჟამადაც რჩება ზოგიერთისთვის სასულ-ლედ. თანამედროვე ადამიანს ზიარების, ადამიანის სხეულის განდგ-რთობის შესახებ სწავლების მიღება უფრო უჭირს, ვიდრე ღმერთის არსებობა.

პირველ საუკუნეებში ევქარისტიულ ღმრთისმსახურებას სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა. უფლის სერობა, პურის განტეხა, შეწირვა (მიტანა) მოხმობა (სული წმიდის), ლიტურგია (საერთო საქმე), აღაპი (სიყვარული) შეკრება. უფრო ხშირად გვხვდება „ევქარისტია". ეს სიტყვა ახალ აღთქმაში გვხვდება კურთხევის მნიშვნელობით (მთ. 14, 19, მარკ. 6,41. ლკ. 24,30. იოან. 6,11). ძვ. აღთქმაში კი ძირითადად მადლიერების მნიშვნელობით. პირველი ქრისტიანები ევქარისტიას მსხვერპლშეწირვის საიდუმლოებად მიიჩნევდნენ. ევქარისტია არის საიდუმლო სერობის გახსენება და გამეორება. ევქარისტია არის განხორციელებული უფლის ჭეშმარიტი სისხლი და ხორცი.

პირველ ორ საუკუნეში შექმნილი ლოცვების ტექსტები ჩვენამდე არაა მოღწეული. ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ქრისტიანები ერიდებოდნენ საიდუმლოს წერილობით ჩაწერას, რომ ისინი ხელში არ ჩავარდნოდათ ურწმუნოთ ან უნათლავებს. ევქარისტიის წესის შესახებ ცნობები მე-4 საუკუნის ბოლოს წმ. მამების შემოქმედებაში შეიძლება მოვიძიოთ. (წმ. კირილე იერუსალიმელი, წმ. ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი).

ევქარისტიის ლოცვები უფლის მიერ კაცობრიობის გამოხსნის <u>მადლიერებას</u> გამოხატავს. ჩვენი დროის ბიზანტიური ტიპის ლიტურგია 3 ნაწილად იყოფა. 1. კვეთა, რომელიც ოდესღაც მართალთა ლიტურგიის დაწყების წინ აღესრულებოდა გადატანილია ლიტურგიის დაწყების წინ. 2. კათაკმეველთა (მოსანათლად განმზადებულთა) ლიტურგია. 3. მართალთა ლიტურგია.

კვეთის დროს მოძღვარი ძვ. აღთქმიდან ისაიას წინასწარმეტყველების იმ ნაწილს კითხულობს, რომელიც იესო ქრისტეს სიკვდილსა და მსხვერპლშეწირვას ეხება, ამასთანავე ლახვრით სეფისკვერს გარკვეული თანმიმდევრობით ჭრის (კვეთს). ე.ი. კვეთა იწყება მსხვერპლშეწირვის სიტყვებით, რადგანაც ლიტურგია მხოლოდ ზიარების საიდუმლო კი არა <u>მსხვერპლშეწირვაცაა</u> აღსრულებული ყოველთვის და ყველასათვის. ტარიგის (სეფისკვერის ნაწილი, რომელიც მერე წირვაზე იესო ქრისტეს ხორცად გადაიქცევა). მომზადების შემდეგ, მღვდელი დანარჩენი სეფისკვერებიდან ღმ-

რთისმშობლის და წმიდანთა ნაწილებს ამოკვეთს და ტარიგის გარშემო დააბრძანებს. შემდეგ მრევლის მიერ შემოგზავნილი სეფისკვერებიდან ამოკვეთილ ნაწილებსაც მიუმატებს, ამით ქრისტეს გარშემო იკრიბებიან დედა ღმრთისმშობელი, წმიდანები, ჩვენი მიცვალებულები და ცოცხლები, ანუ ამ ქმედებით „ზეციური“ და „მიწიერი“ ეკლესიების ერთობა მყარდება.

როგორც აღვნიშნეთ, კვეთა შუა წირვისას აღესრულებოდა, მაგრამ სულაც არ იყო ნაკლებმნიშვნელოვანი. დღეს სულ სხვა სურათი გვაქვს. მორწმუნე თვლის, რომ ჟამნობაზე დასწრება სულაც არ არის აუცილებელი (რომლის დროსაც შეიძლება კვეთა მიმდინარეობდეს სამკვეთლოში), რადგანაც სეფისკვერის შეძენასა და მოსახსენებელის შეგზავნისას, წირვის დაწყებისასაც შეძლებს და მოძღვარი მერეც მოიხსენიებს მის მოსახსენებელს. ე.ი. წავედით კომპრომისზე, მაგრამ რის ხარჯზე? იმის, რომ კვეთის მნიშვნელობა (შეწირვის არსი დაკნინდა) აღარ გვესმის და ნაკლებ ღირებულ მომენტად ვაქციეთ. მასში მრევლი პრაქტიკულად აღარ ღებულობს მონაწილეობას. ზოგიერთ ქვეყანაში დღესაც არიან მორწმუნენი, რომელთაც საკუთარი ხელის გამომცხვარი სეფისკვერი, სუფთად დამზადებული ღვინო, ზეთი და საკმეველი მიაქვთ შესაწირად, გადასცემენ სამსხვერპლოში დიაკონს ან მღვდელს მოსახსენებელთა სახელებით. ეს აღესრულებოდა მწუხრზე, ან დილით ცისკარზე, სანამ კვეთა არ იყო დამთავრებული. ასეთი სურათი, ანუ ძღვენის შეწირვა ევქარისტიული ტრაპეზისთვის მოციქულთა დროინდელი ტრადიციის გაგრძელებაა. ჩვენს შემთხვევაში კი ეს კვალი დაკარგულია.

რაც შეეხება კვეთის დროს აღსრულებულ სიმბოლურ ქმედებებს: ფეშხუმი, რომელზეც ტარიგი დაიდება, წარმოადგენს ბეთლემის იმ ადგილს, სადაც მაცხოვარი იშვა.

ეს ტარიგი სამყაროს შექმნამდე განკუთვნილი იყო დასაკლავად (I პეტრ. 1, 19-20). რაღაც დრომდე იგი დაფარული იყო ამ სოფლისაგან, რომელსაც გამოხატავს დაფარნით დახურული ფეშხუმი. ტარიგის ამოღება სეფისკვერიდან გვახსენებს უფლის გამოსვლას კაცობრიობიდან მსხვერპლშესაწირად. ე.ი. კვეთა განასახიერებს უფლის შობას, ბავშვობას და საერთოდ მიწიერ ცხოვრებას ნათლობამდე.

2. კათაკმეველთა ლიტურღია. თვით სახელწოდება ჩვენში აღადგენს კათაკმევლობის „ინსტიტუტს“, ანუ იმ მომენტს, როცა მოსანათ-

ლად ემზადებოდნენ. წირვის ამ ნაწილზე მოუნათლავებს დასწრების უფლება აქვთ. პირველ საუკუნეებში კათაკმევლებს უკითხავდნენ საღმრთო წერილს განმარტებებით, აცნობდნენ სჯულის საკითხებს. მართალია, ჩვენს დროში კათაკმეველთა ლიტურგიას დაკარგული აქვს თავისი საწყისი მნიშვნელობა (თითქმის მივიწყებულია კათაკმეველთა მომზადება), მაგრამ იგი მდიდარია დიდაქტიკური მასალით, ვიდრე მართალთა ლიტურგია: ამ დროს იკითხება სამოციქულო, სახარება და უწინ ქადაგებაც ამ დროს წარმოითქმებოდა, რაც უფრო ზუსტად მიესადაგება ლიტურგიის ტიპიკონს. დიაკონის მიერ ითქმის სამი კვერექსი, რომელთა ბოლოს მოძღვარი კითხულობს ე.წ. საიდუმლო ლოცვებს. საიდუმლო უნდა გავიგოთ როგორც მისტიკური, ღრმა მნიშვნელობის, და არა როგორც დაფარული, ყველასათვის ხელმიუწვდომელი. უწინ საიდუმლო ლოცვებს მოძღვარი ხმამაღლა კითხულობდა მრევლის გასაგონად, რადგანაც მრევლიც აქტიური მონაწილე იყო წირვისა, და არა მარტო ტაძრის პასიური მომლოცველი. მაგრამ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ დაეცა, გაფერმკრთალდა ქრისტიანეთა ევქარისტიული ცხოვრება. ხალხის გულგრილობამ ეკლესიური ცხოვრებისადმი, ზოგიერთი ლოცვის „ჩუმად“ საიდუმლოდ წაკითხვა მოიტანა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრაქტიკას არ გამოუცოცხლებია ევქარისტიული ცნობიერება. ეს პრაქტიკა იუსტინიანე იმპერატორის დროიდან იღებს სათავეს (VI ს.). ხოლო VIII ს. მთელი აღმოსავლეთისთვის საყოველთაო ხასიათს ღებულობს.

მთელი ლიტურგია უფლის მიერ კაცობრიობის გამოხსნის განახლებაა, გახსენებაა მისი მოღვაწეობისა, ხოლო ლიტურგიის კერძო ნაწილები – უფლის დედამიწაზე ცხოვრების გარკვეული ეპიზოდებია. კათაკმეველთა ლიტურგიის პირველი ნაწილი უფლის ცხოვრებაა საქადაგებლად გამოსვლამდე, სახარების კითხვა მისი საქადაგებლად გამოსვლა. სანამ მოძღვარი სახარებით ტრაპეზს შემოუვლის და ამბიონზე გამოვა, წინ უსწრებს ლოცვა, რომელიც შეგვახსენებს, რომ მღვდელმსახურთან ერთად ანგელოზნიც მსახურებენ და ამიტომ ეს მსახურება თვით ზეცის მსახურთათვისაც საშინელია. „წმიდაო ღმერთოს“ გალობის დამთავრებისას მღვდელი ამბობს ლოცვას, რაც მოასწავებს უფლის მოსვლას თავისი დიდებით. მაღალდასაჯდომელთან მისვლა საღმრთო წერილის მოსასმენად ხდება, ამიტომ კათაკმეველთა ლიტურგიაში ეს მომენტი ყველაზე მნიშვნელოვანია. სამოციქულოს კითხვისას მღვდელი ზის, რაც მისი ხარისხის მოციქუ-

ლებრივთან თანასწორობას გამოხატავს, მრევლის ჯდომა ამ დროს გაუმართლებელია.

ლიტურგიის დაწყებამდე მოსანათლავები გადიან ტაძრიდან და მღვდელი კითხულობს მართალთათვის ლოცვას (ასეთი ლოცვა ორია). ამ ლოცვას იგი ყველა მლოცველის სახელით წარმოთქვამს. ეს ხაზს უსვამს ლიტურგიის ერთიანობას. მრევლი თანამწირველია. მღვდლის ლიტურგია მორწმუნეთაგან საიდუმლოდ, დაფარულად არ აღესრულება, არამედ „ერთითა პირითა და ერთითა გულითა“. მღვდელი და მრევლი სხვადასხვა ლოცვით განზომილებაში არ იმყოფებიან.

წმ. ბასილი დიდის ლიტურგიაზე მართალთა მეორე ლოცვისას ეკლესია კიდევ ერთხელ აღიარებს, რომ თითოეული საიდუმლოს აღსასრულებლად სული წმიდის მადლია საჭირო. ეს უკვე მეორე მოწვევაა სულიწმიდისა (I მეუფეო ზეცათაო წირვის დაწყების წინ) ეკლესია ხაზს უსვამს, რომ საიდუმლოს აღსასრულებლად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთი მომენტი (როგორც ჩვენ ვიქცევით ხშირად, წირვაზე არ ვართ ყურადღებით და „ძალებს ვიკრებთ“ მხოლოდ სულიწმიდის გარდამოსვლის დროს). საიდუმლოს „აღმასრულებელი ფორმულა“, არამედ მთლიანი წირვა თავიდან ბოლომდე. წირვა – დაწყებული კვეთიდან სამადლობელო ლოცვამდე ერთი ორგანული მსახურებაა, ის არაა დაყოფილი სხვადასხვა მომენტებად და ეს ერთიანობა აუცილებელია მღვდელმოქმედებისათვის. უფლის მიერ კაცობრიობის გამოხსნის საიდუმლოში, მის მთლიან მიწიერ ცხოვრებას აქვს მნიშვნელობა და არა ცალკე აღებულ თითოეულ ეტაპს: საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღს, გოლგლთის გზას, მსხვერპლშეწირვას და ჯვარცმას. ლიტურგიის თანმიმდევრობა, სიმბოლოებით გამოხატავს უფლის შობას მის ამაღლებამდე. წირვაში უფლის მთლიან ცხოვრებას გავივლით. ძღვენი იკურთხება სულიწმიდით, მაგრამ სული წმიდა წირვის განმავლობაში რამდენჯერმე მოიხმობა, რადგანაც ლიტურგიის თითოეული მომენტი მნიშვნელოვანია საიდუმლოების აღსასრულებლად. ევქარისტია, მხოლოდ უფლის სიტყვების „მიიღეთ და სჭამეთ...“ „სუთ ამისგან...“ განმეორებით კი არ აღესრულება და არც მხოლოდ სულიწმიდის ლოცვებით, „და ჰქმენ უკუე პური...“, არამედ მთლიანი წესის აღსრულებით, ყველა ლოცვის ერთიანობით.

ჩვენს დროში დიდ შესვლას (ძღვენის გამოტანა სამკვეთლოდან ტრაპეზზე), თვით პურის და ღვინის ქრისტეს ხორცად და სისხლად

გადაქცევაზე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ყოველ შემთხვევაში მორწმუნეები დიდ შესვლას უფრო კრძალვით და შიშით უყურებენ (როდესაც იჩოქებენ, აძლიერებენ ლოცვას) და რელიგიურ გრძნობებს უფრო დიდი პატივისცემით გამოხატავენ. დიდი შესვლის სიმბოლური მნიშვნელობა უფლის ჯვარცმა და დასაფლავებაა, მღვდლის მიერ ფეშხუმის აღება დიაკონის თავიდან უფლის ჯვრიდან გარდამოხსნას ნიშნავს, კმევა – იოსების და ნიკოდიმოსის მიერ უფლის სხეულის ნელსაცხებლით ცხებას, დიდი დაფარნა რომლითაც ბარძიმი და ფეშხუმი იფარება საფლავზე მიგორებული ლოდია.

დიაკონის სიტყვების „ვიყუარობდეთ ურთიერთას, რათა ერთობითი აღვიარებდეთ“, შემდეგ არა მარტო მღვდელმსახურნი, არამედ ერისკაცნიც ეამბორებიან ერთმანეთს, მამაკაცები მამაკაცებს, მანდილოსნები მანდილოსნებს. ეს სტრიქონები იმ ქრისტიანებს შორის ვინც ზიარებას აპირებს, სრულ შერიგებას მოასწავებს. უფლის მცნება (მთ. 5, 23). ხომ გვასწავლის ვისაც მსხვერპლის შეწირვა სურს, უწინ შეურიგდეს თავის ძმას. მაგრამ ეს შერიგება და ერთსულოვნება მხოლოდ ბაგისმიერი არ უნდა იყოს, არამედ ჭეშმარიტი სინანული და ერთსულოვნება უნდა ჰქონდეს საფუძვლად. სწორედ ამიტომ, ამის შემდეგ სარწმუნოების სიმბოლო წარმოითქმის, რომელიც ყველა ქრისტიანის დოგმატური ერთსულოვნების საზომია. საეკლესიო ლოცვა, განსაკუთრებით კი ევქარისტია ვერ აღესრულება თუ, მორწმუნეთა შორის სარწმუნოებრივი ერთობა არ იარსებებს, ევქარისტია სხვა აღმსარებელთან შეუძლებელია. ევქარისტიული მსხვერპლი ერთი პირით და ერთი გულით შეიწირება, რაც ერთ რწმენას ეფუძნება. ერეტიკოსებთან ლოცვის შეუძლებლობა მათდამი სიძულვილის ან ჩვენი აღმატებულობის და ამპარტავნების მიზეზი კი არ არის, არამედ დოგმატური ერთობის მოთხოვნილების შესრულებაა, აუცილებელია, ერთობა რწმენის საკითხებში –ამას ითხოვს საეკლესიო სამართალი, ამიტომ უცხო რწმენის ადამიანთან ლოცვა ონტოლოგიურად გაუმართლებელია. სანამ მორწმუნეები ერთმანეთს ეამბორებიან, ისმის ეკლესიის თხოვნა: „ვიყვარებოდეთ ურთიერთას...“ თუ ეს ერთსულოვნება არ იქნა ლიტურგიული ერთობაც შეუძლებელი იქნება. „კარნი, კარნი სიბრძნით მოხედენ“ – ძველად ეს სიტყვები მეკარესთვის (ეკლესიის მსახური) გაისმოდა, რომ ტაძარში კათაკმეველი ან ერეტიკოსი არ შემოსულიყო, რადგანაც ღმრთისმსახურება უკვე უახლოვდება თავის მნიშვნელოვან ადგილს. მართალია ჩვენს დრო-

ში ამ სიტყვებმა დაკარგეს ადრინდელი მნიშვნელობა, მაგრამ შეიძინეს უფრო ღრმა, წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელის განმარტებით: - ამ დროს, ჩვენი გონების კარი უნდა გავხსნათ და ყურადღებით მოვისმინოთ რწმენის სიმბოლო. მრწამსის კითხვა თავიდანვე არ იყო ღმრთისმსახურების შემადგენელი ნაწილი. ძველად, ის მხოლოდ წელიწადში ერთხელ დიდ პარასკევს კათაკმეველთა ნათლობისას წაიკითხებოდა. VI ს-დან ანტიოქიის ეკლესიაში მრწამსს უკვე ყოველ ლიტურგიაზე კითხულობენ. აღმოსავლეთში ზოგან მას კითხულობს ან კლირიკოსთა წინამძღოლი ან დამსახურებული ერისკაცთაგანი, მონასტრებში კი წინამძღვარი. მრწამსის წაკითხვით, ან გალობით მართალთა ლიტურგიის პირველი (მოსამზადებელი) ნაწილი მთავრდება, ამის შემდეგ იწყება ევქარისტიული ლოცვა ანუ ანაფორა. ლიტურგიის მთავარი ნაწილი ევქარისტიულ კანონად ან ანაფორად იწოდება, რომლის დროსაც წმ. ნაწილების შეწირვა ხდება.

„ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით მოხედენ წმიდასა ამას შესაწირავსა“ – როგორც წმ. იოანე ოქროპირი გვასწავლის: „ამ დროს ისე უნდა ვიდგეთ, როგორც ღმერთის წინაშე მდგომ ადამიანს შეეფერება, შიშით და კრძალვით, სულის სიფხიზლით“.

მღვდელი, სიტყვებით, „ვმადლობდეთ უფალსა“, იწყებს თვით ევქარისტიას ანუ მადლიერების ლოცვას. ამ სიტყვების გამო, თვითონ მსახურება იწოდება ევქარისტიად, ლიტურგიის ეს სახელწოდება ერთ-ერთი უძველესთაგანია. თვითონ უფალმა საიდუმლო სერობაზე, სანამ მოწაფეებს მისცემდა თავის ხორცსა და სისხლს, უწინ მადლობა უძღვნა მამა ღმერთს, რაც ღვთისმსახურებაშიც აისახა. სამადლობელო ლოცვაში მღვდელი მადლობს ღმერთს ყველაფრისათვის: სამყაროს შექმნისათვის, ადამიანზე მზრუნველობისათვის, მასზე მოუკლებელი მოწყალებისათვის, კაცობრიობის გამოხსნისათვის. მრევლმაც უნდა იცოდეს და ყოველთვის ახსოვდეს, რომ ღმრთისადმი მადლიერების გამოხატულების საუკეთესო დრო სწორედ ახლაა ე.ი. ევქარისტიული ლოცვის დასაწყისში. „ვმადლობდეთ უფალსა“ – მთლიანმა კრებულმა და თითოეულმა ცალ-ცალკე ღმერთს სიტყვიერი და უსისხლო მსხვერპლი უნდა შესწიროს, უსაზღვრო მოწყალებისათვის. აქედან გამომდინარე ლიტურგიის ბოლოს სამადლობელო პარაკლისის გადახდა ყოვლად მიუღებელია, რაც ევქარისტიული ცნობიერების უარყოფის მაჩვენებელია.

ყოველი წირვა ძე ღვთის განკაცება და გოლგოთის მსხვერპლის

გამეორებაა. უფლის ტანჯვის მოსაგონებლად აღესრულება ეს საიდ-
უმლო (1 კორ. 11.26) ეს მოგონება მხოლოდ წარსულის გახსენება
არაა. ევქარისტიულ მოგონებაში წარსულის აწმყოს და მომავლის
საზღვრები ირღვევა. ევქარისტიული უსისხლო და სიტყვიერი მსხ-
ვერპლი დროის მიღმა აღესრულება. ის ჩვენ ლოგიკას არ ემორ-
ჩილება, არც ჩვენს გრძნობათა სამყაროს დაემონება. ჩვენ წირვაზე
ვიხსენებთ მომავალსაც. როგორც ძველი აღთქმის
წინასწარმეტყველთათვის არ არსებობდა დროის საზღვრები (ისინი
საუბრობდნენ წარსულ დროში მომავალ ამბებზე, ოღონდ თითქოს
უკვე როგორც აღსრულებული, ასევე ახალ აღთქმაში წირვაზე, ვახ-
სენებთ არა მარტო წარსულს (ტანჯვას, სიკვდილს, აღდგომას, ამაღ-
ლებას), არამედ მეორედ მოსვლას და სამსჯავროს. ტარიგი დასაკ-
ლავად გამზადებული იყო ჯერ კიდევ სამყაროს შექმნამდე (I პეტ. 19-
20), თუმცა გამოჩნდა, მოგვევლინა დროში, „ბოლო ჟამს“.

ეპიკლეზა – სული წმიდის მიწვევის ლოცვები, რომელიც ყველა
საიდუმლოს დროს აღესრულება, ისევე როგორც ჩვენი მთლიანი
ლიტურგიკული ღმრთისმეტყველება, სული წმიდის ღვთაებრიობის
აღიარებაა. წმ. ბასილი დიდი წიგნში „სული წმიდის შესახებ“, წერს:
„ვინ გვასწავლა პირჯვრის გამოსახვა? რომელი წერილი გვასწავ-
ლის ლოცვისას აღმოსავლეთით დგომას? რომელ წმინდანს დაუტოვე-
ბია ჩვენთვის წერილობითი წყარო მოწვევის ლოცვის შესახებ
ევქარისტიული პურისა და წმ. ბარძიმის ჩვენებისას? ჩვენ არ ვკმაყ-
ოფილდებით იმ სიტყვებით, რომელიც მოციქულის მიერ სახარებაშია
გადმოცემული, მის სიტყვებამდე და მერეც წარმოვთქვამთ სხვა ლოც-
ვას, რომელსაც საიდუმლოს აღსრულებისათვის დიდი მნიშვნელობა
აქვს: ეს ყველაფერი ჩვენ ზეპირი გადმოცემით მოგვეცა“. ცხადია, აქ
წმ. ბასილი ამოწმებს ეპიკლეზის მოციქულთა დროინდელობას. წმ.
იოანე ოქროპირი: „დგას მღვდელი (სამსხვერპლოს წინ) და ზეციდან
გადმოჰყავს არა ცეცხლი, არამედ სული წმიდა, კითხულობს გრძელ
ლოცვებს, არა იმისათვის, რომ ცეცხლმა დაწვას მსხვერპლი, არამედ
იმისათვის, რომ ღმრთის მადლი მოვიდეს შესაწირავზე და მისით ჩვენი
გულებიც აანთოს“.

ევქარისტია მსხვერპლშეწირვაა და გოლგოთის მსხვერპლის გამე-
ორება. ევქარისტიაში მსხვერპლშეწირვის დავიწყება ღვთის მიერ
კაცობრიობის გამოხსნის საიდუმლოს უარყოფაა. უნდა გვახსოვდეს,
ეს მსხვერპლი „ყოველთა და ყოველთათვისაა“ და იგი, ღმერთისა და

სამყაროს ურთიერთობის უმაღლესი საფეხურია. ახალი აღთქმის მსხვერპლი იმიტომაა უსისხლო, რომ იგი მიწიერი ხასიათის არაა და მას მორწმუნე მარადიულობაში შეჰყავს. მთელი კაცობრიობის თხოვნები თავს იყრიან ევქარისტიაში. წმ. ამბროსი მედიოლანელის ლოცვაში ნათქვამია, რომ მღვდელს ღმერთთან ადამიანთა მწუხარებანი მიაქვს, ტყვეთა ოხვრა, ღარიბთა ტანჯვა, მოგზაურთა საჭიროება, უძლურთა ტკივილები, მოხუცებულთა სისუსტენი, ყრმათა ტირილი, ქალწულთა აღთქმანი, ქვრივთა და ობოლთა სათხოვარი".

ევქარისტიულ მსხვერპლშეწირვაში მღვდელი მადლობს, <u>შუამდგომლობს</u> ადამიანსა და ღმერთს შორის, რათა მოწყალე გახდეს უფალი. ქრისტიანის დამოკიდებულება ღმრთისადმი ევქარისტიული უნდა იყოს, ანუ ღვთაებრივი ლიტურგია არის მადლობის გამომხატველი. ჩვენ კი მადლობის გამოხატვას უფრო ხშირად პარაკლისებით ვიხდით. ცხადია, ჩვენ არ ვკრძალავთ პარაკლისებს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომელია აღმატებული, მეტად მნიშვნელოვანი. ევქარისტიის მსხვერპლი აღესრულება ცოცხალთა და მიცვალებულთათვის, ზეციური და მიწიერი ეკლესიებისთვის. მასში თავს იყრის ლოცვა ცოცხლებისთვის და ლოცვა ცოდვათა მიტევებისა ამქვეყნიდან გასულთათვის. მსხვერპლი შეიწირება წმიდანებისთვის, როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმისა, და განსაკუთრებით, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისადმი. ეკლესია განწმედს ყველაფერს თავისი მზრუნველობით და ლოცვით. ეკლესიისთვის ჩვენი ცხოვრების არც ერთი მხარე უმნიშვნელო არაა. ის აკურთხებს ჩვენს ოჯახებს და ადამიანის შრომას. ის წუხს ჩვენს ტკივილებზე და უხარია წარმატებები.

„საღმრთო მადლი" პირველად ძღვენს განწმედს, აკურთხებს და მერე ჩვენზეც მოქმედებს. ამიტომ ძღვენზე მადლის მოქმედებას ვერ-ავითარი ადამიანური სისუსტე, ცოდვა, ბოროტება ვერ შეეწინააღმდეგება, რადგანაც ძღვენის კურთხევა ადამიანური სათნოებით არ აღესრულება, ამიტომ ჩვენი უდებება და ცოდვები მას წინ ვერ დაუდგება. მადლი განგვწმედს წმ.: ძღვენით (პური, ღვინო) თუ ღირსნი შევხვდებით მას, ხოლო თუ მოუმზადებელნი – დავისჯებით.

როდესაც მოძღვარი წმ. ტარიგს აღამაღლებს სიტყვებით „წმიდაა წმიდათა", თითქოს ამბობს „აი, ცხოვრების პური, რომელიც თქვენთვის გარდამოხდა ზეცით, მოდით და ეზიარეთ მას, მაგრამ ყველას როდი აქვს უფლება მიიღოს იგი – მხოლოდ მას, ვინც განიწმინდა. სიწმინდესთან მხოლოდ წმინდა დაიშვება, „წმინდანი" გულისხმობს არა მარ-

ტო სათნოებაში სრულყოფილს, არამედ სიწმინდისაკენ მიმსწრაფველს. ეცემი, მაგრამ ცოდვის მორევში დარჩენა არ გსურს. მგალობელთა პასუხი მოძღვრის გაფრთხილებაზე: „ერთ არს წმიდა, ერთ არს უფალი იესო ქრისტე...“ ნიშნავს: კაცთაგან არავის ძალუძს თავის ძალისხმევით განწმენდა, სიწმინდე ადამიანური სათნოებებით ვერ მიიღწევა, მხოლოდ უფალ იესო ქრისტეს დახმარებით. თუ მზეზე რამოდენიმე სარკეს მოვათავსებთ, მაშინ ყველა განათდება და სხივებსაც გამოსცემს, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მრავალ მზეს ვხედავთ, სინამდვილეში კი ერთი მზე ანათებს მრავალი სარკით. ასევე, ერთი წმიდა უფალი ჩასახლდება რა მართალთა სულებში, მათაც წმინდანად წარმოაჩინებს, სინამდვილეში კი მხოლოდ ის, უფალია წმინდა.

მღვდელი ამ ასამაღლებლით არა მარტო თავის და მრევლის ზნეობრივ მომზადებას „ამოწმებს“, არამედ მთელ ეკლესიას ერთობისაკენ მოუწოდებს. ზიარება უფალთან მისვლაა, მორწმუნეები ერთიანდებიან ერთ წმინდა სხეულში (ეკლესიაში), რომლის თავიც უფალი იესო ქრისტეა. და რადგან თავი ამ სხეულისა წმინდაა, მისი ძალისხმევით განიწმინდება სხეულის ყველა ნაწილი. ძველად, ვინც რამოდენიმე კვირა ზედიზად არ ეზიარებოდა, თვლიდა, რომ თვითონ განაყენებდა თავს ეკლესიისაგან.

ეკლესიის ერთიანობა შეიძლება განიხილებოდეს საეკლესიო ორგანიზაციის ერთიანობით, ე. ი. ადმინისტრაციულ-დისციპლინარული სტრუქტურის ერთიანობა ეპისკოპატთან – ასეთი ერთობა იურიდიული, კანონიკურია. ეკლესიას აქვს ერთიანობის სხვა საფუძველიც: ესაა ერთობა გადმოცემაში. ეს ერთობა დოქტრინალურია. ყველაზე მეტად კი ეკლესიის ერთიანობა ჩანს მის ევქარისტიულ ბუნებაში. ეკლესიის ევქარისტიულ ცხოვრებაში მონაწილეობა ეკლესიის ერთიანობის ცხოვრებისეული აღიარებაა და არა დოქტრინალური.

ზიარების წინ მოძღვარი განტეხს ტარიგს ოთხ ნაწილად, შემდეგ პატარა ნაწილებად დაანაწევრებს ან დაჭრის ლახვრით. მიუხედავად წმ. ნაწილების დანაწევრებისა ტარიგი განუყოფელი და მთლიანი რჩება. ევქარისტიული მსხვერპლშეწირვის ეს გონებით აუხსნელი საიდუმლოება, საშუალებას გვაძლევს ყოველდღიურად აღვასრულოთ ლიტურგია ჩვენი სამყაროს სხვადასხვა ტრაპეზზე. ზიარებისას მორწმუნეს ეძლევა ქრისტეს სხეულის არა რომელიმე ნაწილი, არამედ მისი სხეულის მთლიანობა, და ვეზიარებით მისი წმიდა სხეულის არა რომელიმე ნაწილს, არამედ ამ მთლიანობას.

ჩვენ ვეზიარებით უფლის არა გოლგოთაზე ტანჯულ სხეულს, არამედ განღმრთობილს და ზეცად ამაღლებულს.

მრევლის ზიარების შემდეგ, მღვდელი ფეშხუმიდან დედაღვთისმშობლის, წმიდანების და ცოცხალთა და მიცვალებულების სახელზე ამოკვეთილ ნაწილებს ჩაუშვებს ბარძიმში, უფლის სისხლთან და ხორცთან, ეს მისტიკურად მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. ამ დროს ცოცხლები და გარდაცვლილები წმინდანებთან ერთად უფლის სიკვდილისა და აღდგომის გახსენებაში ღებულობენ მონაწილეობას.

უფალი თავისი სისხლით განწმედს კვეთაში მოხსენებულებს. ზოგიერთი მორწმუნისთვის ლიტურგიაში მონაწილეობის მიღება მხოლოდ სეფისკვერების და მოსახსენებლების მიწოდებით მთავრდება, უმრავლესისათვის კი უცნობია თუ რა მოსდის მათი სეფისკვერებიდან ამოღებულ ნაწილებს წირვის ბოლოს, ამიტომაც გაუგებარი ხდება მთლიანი ლიტურგიის მნიშვნელობა. ზიარება ევქარისტიის ერთ-ერთი უმთავრესი მომენტია. ამ საიდუმლოს არსიც ესაა: მორწმუნენი მივიდნენ ღმერთთან, განიღმრთონ, ე.ი. პურის და ღვინოს ხორცად და სისხლად გადაქცევისათვის არ ხდება, არამედ ჩვენს განსაწმედელად. წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „ვინც წმ. ხორცს ღებულობს, უფალ ქრისტეს მეშვეობით ერთმანეთს უერთდებიან, ეს შეერთება უფრო აღმატებულია ვიდრე ჩვეულებრივი კავშირი“.

ძველ დროში ქრისტიანები ხშირად ეზიარებოდნენ. წირვაზე ვინც იდგა, ეზიარებოდა კიდეც. წირვაზე გალობის მოსასმენად, მღვდლის ასამაღლებლებით დასატკბობად ან რიტუალის საცქერლად არ უნდა მიდიოდეს მორწმუნე. წირვაზე მყოფობა მოითხოვს ზიარებასაც. ახლა ეზიარებიან აღსარების შემდეგ, აღსარებას კი წელიწადში ერთხელ, ან რამოდენიმეჯერ ამბობენ. ზიარება ეკლესიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. ვინც არ ეზიარება, არაეკლესიურად ცხოვრობს. ჩვენი საზოგადოების არაეკლესიურობა <u>ევქარისტიული ცხოვრების არსის არცოდნიდან</u> გამომდინარეობს. ყველა ძველი მამა საუბრობს ყოველდღიურ ზიარებაზე ან კვირაში ერთხელ მაინც: კაპადოკიაში კვირაში ოთხჯერ ეზიარებოდნენ, ალექსანდრიაში მორწმუნე მრევლი სახლში ინახავდა წმ. ნაწილებს და თვითონვე ღებულობდა მას. ეგვიპტის მონასტრებში ყოველკვირა ეზიარებოდნენ. ჩვენთვის მთავარი უნდა იყოს არა მარტო საიდუმლოს გაგება, არამედ საიდუმლოებაში მონაწილეობა, განღმრთობა.

განსაკუთრებული მომზადება მართებს მორწმუნეს ზიარების წინ:

ტაძრის მოლოცვა, სახლში გულმხურვალე ლოცვა, წმ. ზიარებასთან მიახლებაზე ფიქრი, მარხვა, თავშეკავება გართობისაგან და ყოველივე იმისაგან, რაც სულს აუმღვრევს, აბრებს შეურყვნის, სახარების და რელიგიული ლიტ. კითხვა. თუმცა, ზოგიერთი კი კარგად ემზადება ზიარებისთვის, მაგრამ ზიარების შემდეგ ადვილად მიიქცევა ცოდვილი, ამაო ცხოვრებისაკენ, რომლისგანაც განთავისუფლებას ორი დღის წინ ცდილობდა.

ხშირად, იქვე ტაძარში იწყება ამაო საუბარი, მაზიარებლები ცდილობენ, რაც შეიძლება მალე დატოვონ ის წმინდა ადგილი, სადაც გახდნენ „ღვთიური ბუნების ზიარნი“ (II პეტ.1,4) უმჯობესია თუ წირვის დამთავრების შემდეგ მცირე ხნით მაინც დარჩებით ტაძარში და გაიაზრებთ იმ საიდუმლოებას, რომელშიც მიიღეთ მონაწილეობა. წირვის შემდეგ საიდუმლო სერობის მნიშვნელობის კიდევ ერთხელ გააზრების შემდეგ აუცილებელია:

1. ყურადღებით მოისმინოთ სამადლობელო ლოცვები.
2. ზიარების წინ ნუ დაიწყებთ პირჯვრის გადაწერას და ნუ ეამბორებით მოძღვრის ხელს, ნურც ხატებს. ეს არ ნიშნავს, რომ მთელი დღის განმავლობაში აღარ უნდა ვთხოვოთ მოძღვარს კურთხევის აღება.
3. ზიარების შემდეგ სტიქაროსნის მიერ მოწოდებული ღვინით და თბილი წყლით გამოივლეთ პირის ღრუ რომ წმ. ნაწილები არ დაგრჩეთ.
4. ნურც მეტანიებს გააკეთებთ. მუხლთმოყრა მწუხარების და სინანულის გამოხატულებაა, რაც მაზიარებლის მდგომარეობას არ შეესაბამება.

ზიარება და ევქარისტიული ცხოვრება გადარჩენის საწინდარია. წმ. ეგნატე ღმერთშემოსილი II ს-ში ეფესელებს წერდა: „ევქარისტია უკვდავების წამალია, ის არა მარტო სიკვდილისაგან დაგიფარავთ, არამედ ქრისტეში ახალ ცხოვრებას მოგანიჭებთ“.

ვეზიარებით რა უფლის სისხლს და ხორცს, განვიღმრთობით, გვწამს აგრეთვე, რომ სიკვდილის შემდეგაც არ მოვაკლდებით ზიარებას. ევქარისტიით მისტიურად ერთიანდებიან არა მარტო მაზიარებლები, არამედ ის ცოცხლები და მიცვალებულები, რომელთა მოხსენიებაც აღესრულა.

ზიარების ბოლოს წმიდა ნაწილების სამკვეთლოზე გადატანა ხდება, აღსავლის კარში მღვდელი ბარძიმს მაღლა აწევს, რაც უფლის

ამაღლებას მოასწავებს. ხოლო მგალობლები გალობენ „აღავსე პირი ჩემი ქებითა შენითა...“ ეს გალობა მრევლს შთააგონებს, რომ წირვაზე არა მარტო ვიმყოფებოდეთ, არამედ აქტიურადაც ვმონაწილეობდეთ, ანუ ვეზიარებოდეთ.

ამბიონის ლოცვის (როცა მღვდელი აღსავლის კარიდან გამოდის და ამბიონის დაბლა, ტაძარში კითხულობს ლოცვას) მნიშვნელობა მრევლის კურთხევა და ცოდვათა მიტევების სიტყვიერი გამოხატულებაა. მასში – ლოცვაში გამოხატულია მოძღვრებზე ლოცვა, მთავრობის მოხსენება, ამინდის კეთილშეზავებულობის თხოვნა და სხვა.

ძველად ამ ლოცვის კითხვისას, ეპისკოპოსი მრევლს თავზე ადებდა ხელს, მსგავსად კათაკმეველთა, შეპყრობილთა, მონანულთა კურთხევისას (თავზე ხელის დადებით).

ახლა უკვე უნდა შევაჯამოთ ზემოთ ნათქვამი და გავაკეთოთ რამოდენიმე შენიშვნა. ევქარისტია საიდუმლოა, მამები მას „საიდუმლოთა საიდუმლოს“ უწოდებენ. ის დიდი საიდუმლოს – ლოგოსის განკაცების – გამეორებაა. ღმერთი განხორციელდა, იგი კაცი გახდა. ის მოვიდა, რათა ეხსნა კაცობრიობა, მან მიიღო რა ადამიანური სხეული „განაღმრთო“ ადამიანის ბუნება და აღამაღლა საღმრთო საყდრამდე, რომელიც ანგელოზებზე მაღლა დგას. ადამიანი შექმნილი ღმერთია – ასე ასწავლის წმ. გრიგორი ღმრთისმეტყველი. ღმერთი იმიტომ განხორციელდა, რომ პატივი მიაგო ადამიანს, განაღმრთო მისი მოკვდავი სხეული. ეს კიდევ იმიტომ განახორციელა, რომ უსხეულო ანგელოზები ამპარტავნებაში არ ჩავარდნილიყვნენ, დარწმუნებულიყვნენ, რომ განღმრთობა მხოლოდ უსხეულოთა არ იყო – ასე გვასწავლის წმ. გრიგორი პალამა. ადამიანის განღმრთობა ეკლესიის სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოგმატია, ეს სწავლება ეფუძნება პეტრე მოციქულის სწავლებას, (II პეტრე 1, 4), რომ ჩვენ ღვთაებრივი ბუნების თანაზიარნი უნდა გავხდეთ. ჩვენი ცხოვრების მიზანია არა უცოდველობა, არამედ განღმრთობა. ეს მხოლოდ ზნეობრივი განწმენდა არაა, არც ცოდვათაგან გამართლება, ეს ღმერთთან მიახლოების არც ინტელექტუალური ცოდნაა, ესაა ჩვენი რეალური, კონკრეტული გაღმრთობა. ეს კი შესაძლებელია უფლის განღმრთობილ სხეულთან ზიარებისას, ანუ ევქარისტიაში მონაწილეობით. ევქარისტიული ცხოვრება-ეკლესიაში სიარული, „გულის შემძვრელი“ გალობის მოსმენა არაა, ესაა ზიარება. უნდა ვეზიაროთ არა ერთხელ წელიწადში ან ოთხივე მარხვაში თითოჯერ, არამედ უფრო ხშირად

ან მუდმივად, იმისთვის რომ ქრისტეს განღმრთობილ სხეულთან მოუწყვეტელი კავშირი გვქონდეს. უნდა ვეზიაროთ იმისათვის, რომ ქრისტეში გავერთიანდეთ, რომ ღმრთის შვილობილობა „მოვიპოვოთ“.

ევქარისტია მსხვერპლია. მსხვერპლი „ყველასა და ყოვლისათვის“. ევქარისტია იმის განხორციელებაა, რაც უფალმა თავის მოსაგონებლად დაგვიტოვა. გოლგოთის მსხვუერპლის გამეორებაა, ამასთანავე მისი გახსენებაც და ამიტომაცაა აღმატებული ყველა ძვ. აღთქმის მსხვერპლზე. ამ მსხვერპლის ბოლომდე გაგება, გააზრება ჩვენს გონებას არ ძალუძს და ვერ ამოხსნის ჩვენი რაციონალური ლოგიკა. ეს მსხვერპლი დროისაგან დამოუკიდებელია, იგი წარსულიცაა, აწმყოც და მომავალიც. ჩვენ მასში „ვიხსენებთ“ სამყაროს შექმნას, ღმრთის ძის მიერ კაცობრიობის გამოხსნას, მის სიკვდილს და აღდგომას, ამაღლებას და მის მეორედ მოსვლას. ეს მსხვერპლი მთელ მსოფლიოს მოიცავს და თავისთავში აერთიანებს დათითოებულ ადამიანებს. მსხვერპლი თვითონაა მღვდელმთავარი (შემწირველი), და შეწირულიც. ესაა ჩვენი მადლიერების გამოხატულება ღმრთისადმი მომხდარზე და რაც შემდგომში აღსრულდება.

ღვთაებრივი ლიტურგია ამასთანავე სიმბოლური ქმედებაცაა, იგი ღმრთისმეტყველების „მასწავლებელიცაა“, კარები საიდუმლო სამყაროსი. ლიტურგია ბოლომდე ამოუხსნელი, გამოუცნობი ქმედებაა. ლიტურგიის ლოცვანი გვაახლოებენ ღმერთს, რადგანაც ლოცვა ღმერთთან ურთიერთობის საშუალებაა. ეს ლოცვანი, გალობანი და ქმედებანი ამასთანავე ღვთაებრივი რეალობის სიმბოლური გამოხატულებაა, ევქარისტიის დროს წარმოჩინდება და აღესრულება ჩვენი ხსნის საიდუმლო. კვეთის დროს ჩვენ ვიმყოფებით უფლის შობამდე, და შემდეგ თანმიმდევრობით ამაღლებამდე. მღვდლის ქმედება – სიმბოლურად გამოხატავს უფლის ამა თუ იმ ცხოვრებისეულ მომენტს, ან მის ჩვენზე გამოხატულ მზრუნველობას. მორწმუნე, რომელიც ესწრება წირვას, გონებით ეზიარება ამ სიმბოლურ „წარმოდგენებს“. მის წინაშე იხსნება ღვთაებრივი, ზეციური ლიტურგია.

ევქარისტიის ყურადღებით შესწავლისას ვრწმუნდებით, რომ მისი თანმიმდევრობა, თავიდან ბოლომდე მწირველი მღვდლის და მრევლის ურთიერთობაზეა დამყარებული, ამ „ურთიერთობას“ თანამწირველობა ეწოდება. მოძღვრის და მრევლის თანამწირველობა მათ დიალოგურ სტრუქტურაში გამოიხატება, მღვდელი ამბობს კვერექს, ერი კი ამოწმებს (გარდა ევქარისტიული კანონისა). ყველა ლოცვა

(გარდა ერთისა, როცა ქერუბიმთა გალობისას მღვდელი თავის განსაწმედელად ეევედრება უფალს), თავისი შინაარსით „ერთობისთვისაა განკუთვნილი“ ჩვენი დიდება - ჩვენი მადლობა, ჩვენი ზიარება.

ქრისტიანული ტაძარი უპირველესად მორწმუნე ერის შესაკრებელი, ევქარისტიული პურის განტეხის აღსასრულებელი ადგილია. ტაძარი ესაა ადგილი, სადაც ქრისტეში ერთიანდება ცა და დედამიწა, და ამაში მდგომარეობს ეკლესიის არსი და დანიშნულება. ამაზე მეტყველებს ტაძრის ფორმა და ფრესკა. ლიტურგია „ერთობის საიდუმლოებაა“. შეკრება (ერთობა) ევქარისტიის ერთ-ერთი მთავარი ქმედებაა. „როდესაც იკრიბებით ეკლესიაში“ – მოციქული პავლეს ეს სიტყვები ტაძარზე კი არაა ნათქვამი, არამედ შეკრების მიზანზე და მის ბუნებაზე. ტაძარში შეკრება პირველი ქრისტიანების შეგნებაში, ისეთ შესაკრებელს ნიშნავდა, რომელიც ეკლესიას გამოხატავდა. ქრისტე განკაცდა, იმიტომ რომ ღვთის შვილები ერთად შეკრიბა (იოანე 11.52). ამიტომ ზემოთ თქმულიდან გამომდინარე „შეკრება ეკლესიაში“ უნდა ჩავთვალოთ პირველ ლიტურგიკულ მოქმედებად, რომლის გაგების გარეშე, შეუძლებელი იქნება შემდგომი საიდუმლო ქმედებები. როცა ვამბობთ: „მე მივდივარ ეკლესიაში“ – ნიშნავს მე მივდივარ მორწმუნეთა შესაკრებელში, რათა ერთად შევადგინოთ ეკლესია, ანუ იესო ქრისტეს სხეულის ნაწილი გავხდეთ. ეკლესია ქრისტეს სხეულია, ჩვენ შევადგენთ ეკლესიას, ქრისტე ჩვენს შორის იმყოფება. მაცხოვარს ორი, ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნება ჰქონდა – ეკლესიაც ასეა. მისი, ასე ვთქვათ “ადამიანური” ბუნება ჩვენა ვართ, რომელიც მოყოლილია უამრავი სახის განსაცდელქვეშ, მაგრამ ნუგეშად ღვთის აღთქმა ეგულება: “აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას” (მათ.16, 18). ეკლესიის “ღვთაებრივი” ბუნების ქვეშ კი ქრისტეს სხეული იგულისხმება. საიდუმლოება მართლმადიდებლური სწავლებით რაღაცის განცხადებაა. უპირველესად ქმნილების საიდუმლოებრივი აღიარებაა, სამყარო ადამიანისთვის შეიქმნა, მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად. წყალს შეუძლია, რომ მეორედ გვშვას (ნათლობა), პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გადაიქცევა, მირონის სურნელოვანი ზეთების ერთობლიობის ცხებით სული წმიდას ვეზიარებით, აქედან გამომდინარე ხილული სამყარო მოგვეცა როგორც საჩუქარი, რომლითაც ვეზიარებით ახალ ცხოვრებას. თავიდანვე მთელი სამყარო ღვთის განგებულების აღსასრულებლად შეიქმნა – „დაე იყოს ღმერ-

თი ყველაფერში“ მართლმადიდებლური სწავლებით ეკლესია თვი-
თონაა საიდუმლოება, მისი იერარქიული, კანონიკური და ლიტურგიკუ-
ლი წყობაა საიდუმლოებრივი და ამასთანავე სიმბოლური. ეკლესია
კიდევ იმიტომაა საიდუმლოება, რომ „ამა სოფელში“ წარმოაჩენს
ღმერთის მიერ პირველქმნილ სამყაროს უცოდველ სახეს, ანუ დასა-
ბამს და განსაზღვრავს მის ბოლოს, რომლისთვისაც ის შეიქმნა (1
კორ. 15, 23). რომ ღმერთი იყოს ყველაფერში, ეკლესია ევქარისტიაში
კი არ „გამოსახავს“ ყველაფერს ამას, არამედ ჭეშმარიტად აზიარებს
მორწმუნეებს ამ „მოვლენებთან“. ევქარისტიის არსია მორწმუნეთა
კრებული–ეკლესია მიიყვანოს ღმერთამდე ანუ ცათა სასუფევლამდე.
ღვთაებრივი გალობის „წმიდა ღმერთოს“ დედამიწაზე გალობა, ცისა
და დედამიწის შერიგებაცაა, ის რომ ღმერთი გამოეცხადა ადამიანებს
„რათა წილი გვქონდეს მის სიწმინდეში“ (ებრ. 12.10).

ქრისტიანი მოწოდებულია, რათა საკუთარი თავი დადოს მოყვა-
სისთვის, და იზრუნოს პიროვნული სრულყოფისათვის, განწმენდი-
სათვის. ეკლესიაში უკვე ნაკლებად არიან ისეთი მორწმუნეები, რომ-
ლებიც სრულყოფილად განიცდიან ეკლესიის მოწოდებას (სხვისთვის
თავის დადება და პიროვნული ბრძოლა), უმრავლესობას ქრისტიანო-
ბა წარმოუდგენია როგორც პიროვნული ხსნის, საკუთარი თავის გა-
დარჩენის რელიგიად და არა ერთად სვლა ღვთისაკენ, ერთად მონაწ-
ილეობა ქრისტეს ბარძიმში (ტკივილის და მწუხარების გაზიარება).
ერთობის, კრებითობისკენ მოწოდება დიდ და მრჩობლ კვერექსებ-
შია გადმოცემული. ლოცვა იქ საერთო საქმედაა ქცეული. მორწმუნ-
ემ უნდა დაუტევოს მზრუნველობა საკუთარ თავზე და შეერწყას ეკ-
ლესიის ლოცვას. დიდ კვერექსში ქრისტიანული ფასეულობების იერ-
არქიაა გადმოცემული. არც პირადული თხოვნებია გამორიცხული
საეკლესიო ლოცვაში, იგი გადმოცემულია მრჩობლ კვერექსში. მსახ-
ურობის დასაწყისში ყველაფერი კერძო თითქოს ქრება საერთოში,
აქ კი ეკლესიის ლოცვა გამახვილებულია კერძოდ ამ ადამიანზე, ამ
საჭიროებაზე. წირვის შემდეგ რომელიმე კერძო მსახურების აღ-
სრულება (პანაშვიდი, სამადლობელო პარაკლისი) ეწინააღმდეგება
ჩვენს ღმრთისმსახურებას. რამეთუ ყველაზე დიდი მადლობის
გამოხატულება მორწმუნეს, ზიარებაში მონაწილეობით შეუძლია, გარ-
დაცვალებულისთვის წირვა უფრო „დიდი“ საქმეა ვიდრე პანაშვიდი
(ჩვენ აქ ვგულისხმობთ იმ შემთხვევებს, როცა მორწმუნე ესწრება
წირვას და მერე ითხოვს პანაშვიდის ან პარაკლისის გადახდას). ამ

პრობლემის მოგვარება ლიტურგიაში საერთოს და კერძოს შორის თანასწორობის აღდგენაა, ანუ ყველაფერი კერძო, პიროვნული უნდა შეერწყას საერთო საქმეს, ქრისტეს სიყვარულს, რომელსაც საიდუმლო ეწოდება და რომელიც აღესრულება წირვაზე. ლიტურგიის არსი ის კი არ არის, რომ მღვდელი წირავდეს მრევლისთვის, ხოლო თითოეული მორწმუნე თავისი მოთხოვნილებისითვის მონაწილეობდეს მსახურებაში, არამედ ის, რომ მთელი კრებული, ერთმანეთს დამორჩილებული მსახურებაში, შეადგენდეს ერთ სხეულს, რათა აღასრულონ იესო ქრისტეს მსახურებ . უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი თავისთვის კი არ უნდა მივდიოდეთ ეკლესიაში, ჩვენი სურვილები კი არ უნდა განვახორციელოთ იქ, არამედ ქრისტეს საერთო საქმე აღვასრულოთ ამ სოფელში. საკუთარი თავის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობს, გარდა საკუთარი ცხოვრების ქრისტესადმი მიძღვნისა. რადგანაც მან ისე შეგვიყვარა, რომ ჩვენი განწმედისათვის საკუთარი თავი გაწირა. სწორედ ამ მსახურების აღსასრულებლად ვიკრიბებით ჩვენ ეკლესიაში, რომელსაც წირვა ეწოდება.

მსხვერპლზე და მსხვერპლშეწირვაზე უამრავი წიგნია დაწერილი. მათი განმარტებებიც სხვადასხვანაირია. ღვთისმეტყველები, ისტორიკოსები, ფილოსოფოსები ფსიქოლოგები – ყველა თავისებურ განმარტებებს იძლევა მსხვერპლის შესახებ. ზოგის აზრით, მსხვერპლის გაღება ხდება შიშით, ან სიხარულით, ზოგი ქვენა გრძნობების გამოხატულებას უწოდებს მას, ზოგიც ამაღლებული გრძნობებისას. როგორი ღირებულიც არ უნდა იყოს ეს განმარტებები, ერთი ცხადია, რომ ადამიანს ყოველთვის აქვს მოთხოვნილება – ღმერთს მსხვერპლი შესწიროს. აბელის და კაენის დროიდან მსხვერპლის სისხლით იჟღინთებოდა დედამიწა, ხოლო ყოვლადდასაწველის კვამლი კი ცისკენ მიემართებოდა. იმ საზოგადოებაში სადაც არსებობს ღვთისაკენ სწრაფვა, სადაც შეიმეცნებენ ცოდვის სიმძიმეს და ამა სოფლისაგან მოწყენილნი არიან, იქ ყოველთვის არსებობს მსხვერპლშეწირვა. მსხვერპლით ადამიანი თავის თავს და საუკეთესო, ნარჩევ ძღვენს ღმერთს უძღვნის. ადამიანი შეიმეცნებს რა ღმერთს მერე ცდილობს აღარ დაშორდეს მას და მიისწრაფის მასთან ერთობას. ამ გზაზე კი მას ცოდვა ეღობება, წირავს რა ღმერთს მსხვერპლს, მორწმუნე ევედრება ცოდვათა მიტევებისათვის. ამ მსხვერპლის გაღებაში სურს ჩადოს მთელი მთელი თავისი ცხოვრების ტკივილი და ტანჯვა, რომ სისხლით, ეკლიანი გზით და სიკვდილით გამოისყიდოს თავისი დანა-

შაული და შეუერთდეს ღმერთს.

ახალი მსხვერპლის გაღება უკვე საჭირო აღარაა, რადგანაც ქრისტეს მეშვეობით შეგვიძლია მამაღმერთთან მისვლა (ეფეს. 2.18). ვინც ჭეშმარიტად იცავს ქრისტეს მცნებას მან თავისი ცხოვრება უკვე დაუკავშირა უფალს და მსხვერპლადაც მიაქვს თავისი ცხოვრება მამა ღმერთთან. ჩვენ იმიტომ აღვასრულებთ ლიტურგიას, რომ ქრისტე უკვე მსხვერპლადაა შეწირული და მასში განცხადდა ღვთის განგებულება სამყაროსა და ადამიანის შესახებ; კარგად ჩანს მსხვერპლშეწირვაში ადამიანის მოწოდება – <u>გახდეს ღვთისადმი შეწირული და ამ მსხვერპლში ნახოს თავისი დანიშნულება.</u> ჩვენი ღვთისმსახურება სიმბოლოებითაც მდიდარია, ოღონდ ეს სიმბოლოები ბოლომდე განმსჭვალულია ჭეშმარიტებით და არამც და არამც მხოლოდ გამომსახველობითი მნიშვნელობით. მაგ. კვეთის სიმბოლოების რეალურობა ის არის, <u>რომ პური და ღვინო, ანუ ქრისტეს მსხვერპლი, მოიცავს ჩვენს შესაწირავსაც,</u> როდესაც მთლიანად მივუძღვნით საკუთარ თავს ღმერთს. აქედან გამომდინარეობს კვეთის სამსხვერპლო ხასიათი. სეფისკვერის მომზადება, როგორც დასაკლავი ზვარაკის, ღვინო – უფლის გვერდიდან გარდამოსული სისხლი, და როცა დამთავრდება ეს მზადება, მხოლოდ მაშინ იწყება ლიტურგია.

ქრისტიანობა მხოლოდ მცნებების ერთობლიობა არაა, იგი ამასთანავე სიყვარულის განცხადებაა, რომელიც წყალობის სახით გვეძლევა უფლისაგან. როდესაც ქრისტე ეუბნება მოციქულებს „ახალ მცნებას მოგცემთ თქვენ, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი“. – ამ ტექსტში კი არ არის რაიმე ახალი, რადგანაც ძვ. აღთქმაშიც სთხოვდა ღმერთი ადამიანებს ერთმანეთს სიყვარულს, არამედ ის რომ ახლა ქრისტეს მოსვლით შესაძლებელი გახდა ამ მცნების შესრულება. დაცემული სამყაროს არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამეფდა განყოფა, ყველა ერთმანეთს გაურბის და თითოეულს ცალკე სურს ცხოვრება, რომ სხვამ არ შეაწუხოს; ამის დაძლევა „ბუნებრივი“ სიყვარულით შეუძლებელია. ეკლესიის არსი კი ის არის, რომ სამყაროში განაცხადოს სიყვარული, და სიყვარული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად აქციოს. <u>ჩვენ კი ეგოისტური ზრახვებით კევლავ ვაღრმავებთ ამ განყოფას,</u> თვით ეკლესიაში დგომითაც, როცა ზოგს „ახლობლად“ ვრაცხთ, ზოგს კი „უცხოდ“ აღვიქვამთ ან უპიროვნო მასად, რომლებიც „სულიერი ძალების“ კონცენტრაციას გვიშლიან. ხშირად ასეთი „სულიერი“ და „მლოცველი“ მორწმუნეები ღიად აცხადებენ თავი-

ანთ უსიყვარულობას მრევლის მიმართ და ეძებენ ცარიელ და მყუდრო გაუნათებელ ტაძრებს, სადაც ხელს არავინ შეუშლის და რაც მთავარია ამ „ბრბოსაგან“ განთავისუფლებული იქნება. ჭეშმარიტად, ასეთი ინდივიდუალური „ჩაღრმავება“ მიუღებელია ეკლესიის ერთობისთვის. ეკლესიაში ხდება ჩვენი ქრისტესთან ზიარება და აქ აღესრულება საიდუმლოება „ჩვენ მრავალნი ერთი სხეული ვართ“ პირველი ქრისტიანებისთვის ამბორისყოფა მხოლოდ სიყვარულის გამოსახატავი სიმბოლო არ ყოფილა, არამედ სიყვარულის საიდუმლო მსახურება იყო —სადაც ხილული ქმედებით, ჭეშმარიტად უხილავად ღვთაებრივი სიყვარულით ივსებოდა მორწმუნეთა გულები. ამიტომ იყო, რომ ძველად ქრისტიანები სიტყვიერი პასუხით კი არ კმაყოფილდებოდნენ (რომ უყვარდათ ერთმანეთი) არამედ ქმედებითაც ამტკიცებდნენ მას. ერთმანეთის ამბორით იწყებოდა მართალთა ლიტურგია, და ამიტომ „შეიმოსება“ რა მორწმუნე ამ სიყვარულით შეუძლია უკვე მონაწილეობა მიიღოს წირვაში და გახდეს ღირსი ქრისტეს სისხლის და ხორცისა.

„ვსდგეთ კეთილად, ვსდგეთ შიშით მოხედენ წმიდასა ამას შესაწირავსა მშვიდობით შეწირვადსა“ – თითქოს რაღაც დამთავრდა წირვაში და რაღაც ახალი იწყება. იწყება ევქარისტიული კანონი, ლიტურგიის ის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის დროსაც პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად გარდაიქცევა. ეს პასუხი ცხადია ფორმალურად სწორია, მაგრამ მოითხოვს დაზუსტებას, რადგანაც ის სხვადასხვანაირად შეიძლება გავიგოთ, არადა მასზეა დამოკიდებული წირვის სწორი გაგება. უპირველესად დავსვათ კითხვა, რაგომაა მნიშვნელოვანი წირვის ეს ნაწილი ღვინის და პურის – ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაქცევა. ნუთუ წირვის სხვა ნაწილი ნაკლებად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია? და ასეც მოხდა სქოლასტიკურად მოაზროვნე ღვთისმეტყველებმა ევქარისტიის საიდუმლოება თითქმის მის ერთ ნაწილზე (ევქარისტულ კანონზე) დაიყვანეს. ამიტომ ლიტურგიის დანარჩენი ნაწილები ამ მთავარ ნაწილთა მიმართებაში არამთავარნი აღმოჩნდნენ. ან უფრო ცუდ შემთხვევაში უსარგებლონიც კი. ამან გამოიწვია ის, რომ ლიტურგისტები „კანონისტები“ ღვთისმსახურებაში მხოლოდ „გამომსახველობით სიმბოლოს“ ეძებენ და არა საიდუმლოს ჭეშმარიტ არსს. ჩვენი მიზანია ღვთაებრივი ლიტურგია წარმოვაჩინოთ როგორც <u>ერთი</u>, <u>მთლიანი</u>, თუმცა სხვადასხვანაწილებიანი მღვდელმოქმედება, საიდუმლოება,

რომელშიც ყველა ნაწილი, აუცილებელია სხვა ნაწილის სისრულის წარმოსაჩენად და საბოლოო ჯამში ამ ქმედებებისთვის ღვთაებრიობის მინიჭება. „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყვარული ღმრთისა და მამისა...“ ამ კურთხევის არსი ისაა, რომ ეკლესია შეკრებილია ქრისტეში და მასში აღასრულებს ევქარისტიას. ეს ნიშნავს ქრისტესთან ასეთ ერთობაში ჩვენს ქმედებებს ქრისტე აღასრულებს და მისით აღსრულებული ყველაფერი მოგვემადლება ჩვენ.

შემდგომი ასამაღლებელი „ზე გვაქვნდი გულნი“ (დე ჩვენი გულნი ზეცად ამაღლოდნენ“) შეგვახსენებს, რომ ევქარისტია არა მარტო დედამიწაზე, არამედ ზეცაში აღესრულება (ეფ. 2,5-6). ლიტურგიის დაწყებისთანავე, „ტაძარში შეკრებისთანავე“ დაიწყო მრევლის ზეცად აღსვლის „მსვლელობა“, სადაცაა ჩვენი ნამდვილი ცხოვრება. ეს ცა, ეს ამაღლებული სამყოფელი ჩვენს შორისაა, სადაც დავბრუნდით საშინელი განდევნის, მწუხარების და ტკივილის გადატანის შემდეგ. წმ. იოანე ოქროპირის თქმით ეს მოწოდება ერთგვარი გაფრთხილებაცაა, იმისთვის რომ ზეცად მოწოდებულნი მიწას არ მივეჯაჭვოთ. ვინც ვერ განთავისუფლდა მიწიერისაგან, ზეცადაც ძნელად გამოიძებნება მისთვის ადგილი. ამიტომ გვესმის რა ეს თხოვნა, შევეკითხოთ ჩვენს თავს: მიმართულია კი ღვთისკენ ჩემი გული? თუ დადებითი პასუხი გაეცემა ამ კითხვას, ჩვენი სისუსტის, ჩვენი დაცემის მიუხედავად მიღებულ ვიქნებით ჩვენს ნამდვილ სამშობლოში. თუ არა უფლის მეორედ მოსვლა ასეთი მორწმუნისათვის საშინელი სასამართლო იქნება.

კიდევ ერთი მთავარი საღვთისმეტყველო საკითხი, რაცაა დაკავშირებული ევქარისტიასთან ისაა, რომ ზოგიერთნი მსხვერპლშეწირვას და ზიარებას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განიხილავენ. ისინი მათთვის მხოლოდ არსებობენ ევქარისტიაში, მაგრამ შინაგანი კავშირის გარეშე. საღვთისმსახურო პრაქტიკაშიც ასეა, ევქარისტია-მსხვერპლი უცხო შეიძლება იყოს ევქარისტია-ზიარებისაგან. <u>მორწმუნემ შეიძლება შეწიროს შესაწირავი, მონაწილეობა მიიღოს წირვაში – ილოცოს, სეფისკვერი მიიღოს და შეიძლება არ ეზიაროს.</u> შეიძლება იმიტომ, რომ მორწმუნე ადამიანების ცნობიერებაში დაკარგულია ზიარების და მსხვერპლის კავშირი და ბატონობს მათში ინდივიდუალური „სულიერი მოთხოვნილებების“ დაკმაყოფილება: კურთხევა, ნუგეშინისცემა, პარაკლისის გადახდა... ე.ი. ზიარებამ საერთო, საეკლესიო მნიშვნელობა დაკარგა და გადაიქცა პიროვნულ-

კეთილგონივრულ „აქტად“ და ეს „აქტი“ რეგულირდება თავად მორწმუნის „არჩევით“ და არა ეკლესიის კურთხევით. ეს უკვე წინააღმდეგობაში მოდის ეკლესიის ერთობასთან, რასაც (ერთობას) ვევედრებით ლიტურღიის დასაწყისში და ბოლოში ღმერთს: „სავსება ეკლესიისა დაიცევ“, რომელსაც პირველი ქრისტიანები მისდევდნენ.

პირველი საუკუნის ეკლესიამ იცოდა, რომ არავინ იყო ღირსი, თავისი სულიერი მოღვაწეობით, თავისი „ღირსებით“ ზიარებოდა ქრისტეს სისხლსა და ხორცს. მომზადება გულისხმობს არა „ღირსების“ ან „ღირსობის“ ანალიზს არამედ სიყვარულზე სიყვარულის მიგებას – როგორც წირვის ერთ-ერთი საიდუმლო ლოცვა შეგვაგონებს.

ლიტურგიაში კი არ გამოვსახავთ ან უბრალოდ ვიმეორებთ ადამიანის გამოხსნის საიდუმლოებას, არამედ თავად (მორწმუნეები) ვხდებით ამ საიდუმლოების ზიარნი, რითაც იწყება ახალი ცხოვრება, ახალი დრო. ხოლო ახალი დრო სული წმიდის მოხვეჭას ნიშნავს (გამოცხ. 1.10) ეკლესიაზე სული წმიდის მოფენის დღიდან ახალი დროის ათვლა დაიწყო. ე.ი. ლიტურგია განახლებულ დროს აღესრულება სული წმიდის ძალით. ევქარისტიის მიზანი პურის და ღვინის გადაქცევა კი არაა, არამედ ჩვენი ზიარება ქრისტესთან ღმერთთან, რომელიც ჩვენი ცხოვრების საკვები შეიქმნა.

ეკლესიის აღორძინება მრევლის მიერ ევქარისტიის სწორ გაგებასა და მასში მონაწილეობას გულისხმობს, მოციქულთა დროინდელი თემის აღორძინება სული წმიდის მოქმედების გარეშე, რომელიც ორი ათასი წელი მოქმედებს მართლმადიდებელ ეკლესიაში, ხელოვნური და მცდარი იქნება. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეკლესია ორგანიზაცია კი არა ღვთის ერია, ეკლესია საკულტო რელიგია კი არა, არამედ ლიტურგიაა, რომელიც მოიცავს უფლის მთელ ქმნილებას, ეკლესია სწავლება კი არაა, სულის უკვდავების შესახებ, არამედ ღმერთთან შეხვედრა. ჩვენ წირვის შემდეგ კვლავ ვბრუნდებით ერში, რომ დავამოწმოთ ჭეშმარიტება და აღვასრულოთ ჩვენი მოწოდება. ის თითოეულ ჩვენგანს განსხვავებული, თავისი აქვს. ეს მოწოდება ერთიანიცაა, ესაა ლიტურგია, ადამიანის განღმრთობა.